საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/60 " 27 " ივნისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მ. ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2022 წლის 25 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და ზოგიერთ რაიონულ სასამართლოში თავმჯდომარეთა დანიშვნის შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანსიაზე მიღებულ იქნა ამავე სასამართლოს მოსამართლისა და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის მიხეილ ჩინჩალაძის განცხადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთაგან 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან მართავს კონსულტაციებს. 2022 წლის 27 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაიმართა კონსულტაციები თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 53 მოსამართლე. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს მიხეილ ჩინჩალაძის კანდიდატურას და აღნიშნეს, რომ მას აქვს სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება და მის ამ საქმიანობას აფასებენ მხოლოდ დადებითად. მოსამართლებმა აღნიშნეს, რომ იგი არის კარგი მენეჯერი, მისი თავმჯდომარეობის დროს აპარატი მუშაობდა გამართულად, შეფერხებების გარეშე. ასევე აღინიშნა, რომ მ. ჩინჩალაძის სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნით თანამშრომელთა შორის შენარჩუნდება ჯანსაღი და კონკურენტული გარემო. მიხეილ ჩინჩალაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება, მათ შორის 10 წელი იგი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მას ასევე აქვს მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ კენჭისყრაზე დაყენებული საკითხი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძის დანიშვნის შესახებ მხარდაჭერილ იქნა საბჭოს წევრთა მიერ ერთხმად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა პოზიციის გათვალისწინებით, 2022 წლის 8 ივლისიდან:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძე დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ, 5 წლის ვადით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მ. ჩინჩალაძისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 2 ივნისის №1/42 განკარგულება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე